შპს ჯეოინჟინირინგი
საინჟინრო კვლევა-ძიება
და დაპროექტება

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრების დასახლებაში, შვიდსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (6 ბლოკი) სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა

ტექნიკური ანგარიში



თბილისი
2022

შპს ჯეოინჟინირინგი
საინჟინრო კვლევა-ძიება
და დაპროექტება

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრების დასახლებაში, შვიდსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (6 ბლოკი) სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა

ტექნიკური ანგარიში

საინჟინრო კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი — დ. ბორგიძე

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სექტორის ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი — დ. სირბილაძე

გეოტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი — რ. ყაველაშვილი

თბილისი, საქართველო
2022

ტექსტური ნაწილი

1 **შესავალი** ... 3

2 **საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლილობა** ... 5

3 **გეომორფოლოგიური პირობები და გეოლოგიური აგებულება** ... 6

3.1 გეომორფოლოგიური პირობები ... 6

3.2 გეოლოგიური აგებულება და სეისმური პირობები ... 6

4 **საინჟინრო-გეოლოგიური პირობები** ... 7

4.1 გრუნტების და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ... 7

4.1.1 არაკლდოვანი ქანები - გრუნტები ... 10

4.1.2 კლდოვანი ქანები ... 12

4.2 კლდოვანი მასივის ხარისხი ... 18

4.3 ჰიდროგეოლოგიური პირობები ... 22

4.4 გეოდინამიკური ვითარება ... 23

5 **დასკვნები და რეკომენდაციები** ... 24

6 **გამოყენებული ლიტერატურული და ფონდური მასალები** ... 28

გრაფიკული ნაწილი

№	ნახაზის დასახელება	ნახაზის ნომერი	ფურცლების რაოდენობა
1	სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, მ-ბი 1:1000	GC-2233-1	1
	სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, მ-ბი 1:500	GC-2233-2	10

დანართები

დანართის №	დანართის დასახელება	ფურცლების რაოდენობა
1	ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები	18
2	ლაბორატორიული კვლევები:	
	გრუნტები	
2.1	გრუნტების შედგენილობისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი	2
2.2	გრუნტების ძვრის მახასიათებელთა გაანგარიშება	2
	კლდოვანი ქანები	
2.3	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისები	4
2.4	გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე, დრეკადობის მოდულისა და პუასონის (განივი დეფორმაციის) კოეფიციენტის განსაზღვრით	40
2.5	გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში	14
2.6	სიმტკიცის გამოცდა წერტილოვანი დატვირთვით	1
2.7	ძვრაზე გამოცდა არსებული ბუნებრივი ნაპრალების ზედაპირების გასწვრივ	32
2.8	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეების სტატისტიკური დამუშავება	8
2.9	გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი და აგრესიულობა	6
3	კლდოვანი ქანების ნაპრალიანობა და მასივის რეიტინგი	24
4	ფოტოდოკუმენტაცია	10
5	ტექნიკური დავალება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარებაზე	2

1 შესავალი

წინამდებარე ტექნიკურ ანგარიშში მოცემულია ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრების დასახლებაში (საკადასტრო კოდი 01.14.06.004.002-ის აღმოსავლეთი ნაწილი), შვიდსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (6 ბლოკი) სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები. კვლევები განხორციელებულია და წინამდებარე ანგარიში შედგენილია შ.პ.ს. „ჯეოინჟინირინგის“ (შემსრულებელი) მიერ, ს.ს. „გრინ ქეფითალ“-თან (დამკვეთი) 2022 წლის 30 ივნისს დადებული ხელშეკრულებისა (ხელშეკრულება № GC-2233) და თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

გამოკვლეული სამშენებლო უბნის ფართობი, რომელიც რელიეფურად 26-30 გრადუსი დახრილობის ფერდობს წარმოადგენს, შეადგენს დაახლოებით 0.8 ჰექტარს (ზომები 280x29მ), რომელზეც განზრახულია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. დამკვეთის მიერ გაცემული ტექნიკური დავალების მიხედვით (იხ. დანართი-5):

- საცხოვრებელი კომპლექსი შესდგება 6 შენობისაგან;
- შენობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით არის II;
- შენობების გაბარიტული ზომები სხვადასხვაა;
- შენობები 8 სართულიანია პარკინგის ჩათვლით, სიმაღლე 27 მ;
- შენობები, რელიეფიდან გამომდინარე, უნდა განთავსდეს ღრმა (12-15 მ) ნახევრადჭრილებში, ქვაბულების დახრილად ან ვერტიკალურად ჩაჭრილი ფერდოებით;
- შენობის კონსტრუქცია არის ჩარჩოკავშირებიანი სისტემა, შევსებული წვრილი ბლოკით;
- საძირკვლის სავარაუდო ტიპია რკინაბეტონის ფილა;
- დატვირთვები (ფილაზე დაფუძნების შემთხვევაში) – 3 კგ/სმ^2;
- პირველი დონის ტერასის ნიშნულია - 579.60 მ, ხოლო მეორე დონის ტერასის ნიშნული – 595.70 მ.
- საძირკვლის მაქსიმალური დასაშვები ჯდენა – 50 მმ სრული, 0.0021 ფარდობითი.
- კვლევების განხორციელების ნორმატივი ს.ნ. და წ. 1.02.07-87 („საინჟინრო-კვლევები მშენებლობისათვის“).

დავალებით მოთხოვნილი იყო აგრეთვე კლდოვანი ქანების ნაპრალიანობის მახასიათებლების განსაზღვრა და მასივის ხარისხის შეფასება (RMR).

დავალებასთან ერთად დამკვეთის მიერ შემსრულებელს გადაეცა დეტალური ტოპოგრაფიული გეგმა 1:1000 მასშტაბში. განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა ამავე მასშტაბში. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, აგრეთვე რუკისა და საკვლევი ჭაბურღილების მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები (სულ 10 ჭრილი) ანგარიშის გრაფიკულ ნაწილშია მოცემული. საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე ასევე აღნიშნულია ჭაბურღილების ბურღვისა და კლდოვანი ქანების

ნაპრალიანობის კვლევის ადგილები, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზები და სხვა მონაცემები.

ტექნიკური დავალების მოთხოვნებიდან გამომდინარე, შედგენილი იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პროგრამა და რელიეფური პირობების გათვალისწინებით განისაზღვრა საკვლევი ჭაბურღილების ადგილმდებარეობა. სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში სულ გაიბურღა 15-დან 35 მ-მდე სიღრმის 12 საკვლევი ჭაბურღილი. მათ შორის თვითმავალი საბურღი აგრეგატისათვის მისადგომ ადგილებში (უბნის თავსა და ბოლოში) ჭაბურღილები გაიბურღა COMACCO-GEO-205 საბურღი დანადგარით, 108-76 მმ. დიამეტრით, ორმაგი სვეტური მილით, რაც ქმნის დაუზიანებელი კერნის მიღების შესაძლებლობას (იხ ფოტოდოკუმენტაცია, დანართი-4), ხოლო უბნის შუა ნაწილში, ფერდობზე, ჭაბურღილები გაიბურღა მცირეგაბარიტიანი, ხელით გადასატანი საბურღი მოწყობილობით УКБ-25. ბურღვის საერთი მოცულობამ შეადგინა 245 გრძ.მ.

პროგრამით განსაზღვრული და პრაქტიკულად შესრულებული სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები ქვემოთ, ცხრილ-1.1-შია მოცემული.

ცხრილი 1.1. შესრულებული სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები

რიგ. №	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	*საველე სამუშაოები*		
1.1	სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა მასშტაბით 1:1000 და კლდოვანი ქანების ნაპრალიანობის შესწავლა ნაჩენებში	1 უბანი	1
1.2	ჭაბურღილების ბურღვა COMACCO-GEO-205 საბურღი დანადგარით, დიამეტრით 150-76 მმ, გრუნტების ნიმუშების აღებით, სიღმით 15-დან 35 მ-მდე	ჭაბ/მ	9/200
1.3	ჭაბურღილების ბურღვა მცირეგაბარიტიანი საბურღი დანადგარით, სამშენებლო მოედნის ფერდობულ ნაწილში, დიამეტრით 90-76 მმ, გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშების აღებით, სიღმით 15 მ.	ჭაბ/მ	3/45
1.4	ჭაბურღილების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური დოკუმენტაცია	მ	245
2	*ლაბორატორიული კვლევები*		
	გრუნტები		
2.1	გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა	1 კომპლექსი	5
	კლდოვანი ქანები		
2.2	სიმკვრივე	1 ცდა	39
2.3	გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე	1 ცდა	39
2.4	გამოცდა ერთღერძა კუმშვაზე, დრეკადობის მოდულისა და პუასონის (განივი დეფორმაციის) კოეფიციენტის განსაზღვრით	1 ცდა	23
2.5	ძვრაზე გამოცდა არსებული ბუნებრივი ნაპრალების ზედაპირების გასწვრივ	1 ცდა	16
2.6	ძვრაზე გამოცდა არსებული ბუნებრივი ნაპრალების ზედაპირების გასწვრივ	1 ცდა	15

რიგ. №	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
	გრუნტის წყლები		
2.7	გრუნტების და გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი და აგრესიულობა	1 ანალიზი	3
3	*საოფისე სამუშაოები*		
3.1	საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება, გრუნტებისა და კლდოვანი ქანების ნორმატიული და საანგარიშო პარამეტრების განსაზღვრა, საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების შედგენა	1 უბანი	1
3.2	კლდოვანი ქანების ნაპრალიანობის მახასიათებლების განსაზღვრა და მასივის ხარისხის შეფასება (RMR)	1 უბანი	1

სამუშაოები ასევე მოიცავდა არსებული გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ფონდური და ლიტერატურული წყაროების მოძიებას, შესწავლას, კომპლექსური კვლევების შედაგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მოპოვებულ მონაცემთა საფუძველზე ტექნიკური ანგარიშის შედგენას.

გრუნტების ნიმუშებისა და წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევა განხორციელდა შპს „ჯეოინჟინირინგის“ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გრუნტებისა და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად გამოკვლეულია სულ 42 ნიმუში. მათი შედგენილობა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებები გამოკვლეულია საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. გამოყენებული სტანდარტები მითითებულია უშუალოდ ცდების ბლანკებში, რომლებიც ანგარიშის დანართების ნაწილშია მოცემული.

კვლევითი სამუშაოების კომპლექსი შესრულდა 2022 წლის 2 ივლისიდან 9 აგვისტომდე პერიოდში, მათ შორის:

- საველე სამუშაოები – 02.07.2022-დან 24.07.2022-მდე;
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები – 5.07.2022-დან 20.07.2022-მდე;
- კვლევითი სამუშაოების შედეგების დამუშავება და ტექნიკური ანგარიშის შედგენა – 18.07.2022-დან 09.08.2022-მდე.

2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლილობა

დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის გადმოცემულია საკვლევ უბანზე 2021 წელს განხორციელებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიში („ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ს/კ. 01.14.06.003.059 სამი ექვსსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა“. შემსრულებელი „კირკიტაძე და კომპანია“), რომლის შინაარსი გათვალისწინებულია წინამდებარე ანგარიშში. სამშენებლო უბნის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ზოგად შეფასებაში გამოყენებულია აგრეთვე არსებული ლიტერეტურული და ფონდური მასალა. ფონდურ-ლიტერატურული მასალების ჩამონათვალი მოცემულია ტექსტის ბოლოში.

3 გეომორფოლოგიური პირობები და გეოლოგიური აგებულება

3.1 გეომორფოლოგიური პირობები

ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის ტერიტორია წარმოადგენს დანაწევრებულ დაბალმთიან მხარეს მდ. მტკვრის შუა დინების ზონაში. მისი ძირითადი ოროგრაფიული ნიშნები დაკავშირებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებასთან, რომელიც მცირე კავკასიონის მთათა რთული ჯაჭვის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მდ. მტკვრის ხეობის მარჯვენა ფერდობი, აღნიშნულ რაიონში, ხასიათდება განედური მიმართულების ქედებისა და დეპრესიების მორიგეობით. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის თელეთის, სეიდ-აბადის, სოლოლაკის, მამადავითის, წყნეთის, დიღომის ქედები და ამაღლებები და მათ შორის არსებული კრწანისის დეპრესია, დაბახანისა და ვერეს ხეობები, საბურთალოს, ლისისა და დიღომის დეპრესიები.

საცხოვრებელი კომპლექსი უნდა აშენდეს მამადავითის მთისა და წყნეთის ამაღლების ფუძეში განვითარებულ ვერეს ხეობაში. ვერეს ხეობას, ზოგადად, და განსაკუთრებით სამშენებლო უბნის მიმდებარე მის მონაკვეთს, ღრმად ჩაჭრილი, ვიწრო და ძლიერ კლაკნილი ფსკერი აქვს, მდინარე ღრმადაა შეჭრილი როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ფერდობებში და მკვეთრად გამოხატულ მეანდრებს ქმნის. ფერდობების დახრილობა ცვალებადია, ხშირად საკმაოდ ციცაბოც, მათი ზედაპირი გართულებულია მცირე ეროზიული ხევებითა და ღარტაფებით.

სამშენებლო უბანი განლაგებულია ვერეს ხეობის მარცხენა, სამხრეთული ექსპოზიციის ფერდობზე. ფერდობი ამავე დროს წარმოადგენს ე.წ. საბურთალოს სერის სამხრეთ ფერდობს. საბურთალოს სერი მიუყვება მდ. ვერეს ხეობას მარცხენა მხრიდან, დაწყებული ზოოპარკიდან და სამშენებლო მოედნიდან დასავლეთით, მცირე მანძილში ერწყმის თრიალეთის ქედის ფუძეს, რომელიც, თავის მხრივ, თანდათან მაღლდება სოფ. მუხათწყაროს მიმართულებით. საბურთალოს სერის თხემი საპროექტო უბნის ფარგლებში, ზოგან ხელოვნურად მოვაკებულია და დასახლებულია. ქვედა მხრიდან სამშენებლო უბანსა და მდ. ვერეს შორის გადის თბილისიდან მუხათწყაროში მიმავალი გზა. ფერდობის ზედაპირი, სამშენებლო უბნის ფარგლებში, როგორც აღინიშნა 30 გრადუსამდე დახრილობისაა, მის მიკრორელიეფში გამოხატულია მცირე უსწორმასწორობები. სამშენებლო ტერიტორიის ზედა და შუა ნაწილები მეტადაა დახრილი ქვედა ნაწილთან შედარებით, რომლის დახრილობას თანდათან ამცირებს აქ დროთა განმავლობაში წარმოქმნილი დელუვიურ-კოლუვიური გრუნტების დანაგროვი.

3.2 გეოლოგიური აგებულება და სეისმური პირობები

გამოკვლეული უბანი, გეოტექტონიკურად აჭარა-თრიალეთის ანტიკლინორიუმის აღმოსავლეთი დაძირვის თბილისის სექტორის ფარგლებში შედის და სტრუქტურულად საბურთალოს სუბგანედური მიმართულების სინკლინის სამხრეთი ფრთის ფარგლებშია. სინკლინის ფრთის დაქანება ჩრდილოეთურია, ხოლო მისი დახრის კუთხე უბანზე, 40-45 გრადუსს შეადგენს.

საკვლევი უბანი და მიმდებარე ტერიტორია გეოლოგიურად შუა და ზედა ოლიგოცენის (P_3^{2+3}) ზღვიური ნალექებითაა აგებული და ლითოლოგიურად წარმოდგენილია ქვიშაქვებისა და არგილიტების შრეებისა და დასტების

მორიგეობით. შრეთა დაქანების აზიმუტი უშუალოდ საპროექტო უბანზე, 20 გრადუსია, ხოლო დახრის კუთხე 38-40 გრადუსი. არგილიტები ყველგან თხელშრეებრივია, ხოლო ქვიშაქვების შრეების სისქე ცვალებადია და ზოგან ცალკეული ტლანქი შრეებით ან სქელშრეებრივი დასტებითაა წარმოდგენილი. ასეთ დასტებში ქვიშაქვის სქელ შრეებს შორის არის არგილიტების თხელი შუაშრეებიც. ძირითადი ქანები ზედაპირულ ზონაში გამოფიტულია და მეტადაა დანაწევრებული. გამოფიტული ზონის სისქე, ჭაბურღილების მონაცემების მიხედვით, უბნის ფარგლებში 0.3-დან -4.1 მ-მდე იცვლება.

უბნის უმეტეს ფართობზე ძირითადი ქანები დაფარულია მეოთხეული არაკლდოვანი გრუნტებით. მათ შორის ზედა ნაწილში გარკვეული ფართი უკავია ტექნოგენური გენეზისის (tQ_{IV}) ყრილისა და ნაყარ გრუნტებს, ხოლო ქვედა ნაწილში წარმოდგენილია დელუვიურ-კოლუვიური (dcQ_{IV}) ხვინჭოვანი და თიხნაროვანი გრუნტები. მეოთხეული არაკლდოვანი გრუნტების სისქე ზოგადად, საპროექტო ტერიტორიაზე არ არის დიდი და იცვლება 0.4-2 მეტრის ფარგლებში.

არსებული მონაცემების მიხედვით სამშენებლო უბნის განლაგების მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადი ქანების ტექტონიკურ სტრუქტურაში რაიმე მნიშვნელოვანი წყვეტითი დისლოკაცია არ არის დაფიქსირებული.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის - პნ 01.01-09 („სეისმომედეგი მშენებლობა") მიხედვით, გამოკვლეული უბნების სეისმურობა, MSK64 სკალის შესაბამისად, არის 8 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0.17.

სამშენებლო მოედნის აგებულებაში მონაწილე ლითოლოგიურ სახესხვაობებში, მათი შედგენილობის, მდგომარეობისა და თვისებების კვლევის მონაცემების საფუძველზე, გამოყოფილია და ქვემოთ, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების აღწერილობით ნაწილში, მოცემულია გრუნტების ცალკეული სახესხვაობების, ანუ საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (**სგე**) დახასიათება.

4 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

4.1 გრუნტების და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოვლენილი გრუნტების (საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების) ფართობული გავრცელება გრაფიკულად წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზე (იხ. ანგარიშის გრაფიკული ნაწილი, ნახაზი №GC-2233-1, 1 ფურცელი), ხოლო მათი გავრცელება სიღრმეში, მოცემულია საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილებზე (იხ. ნახაზი №GC-2057-2, 10 ფურცლად). ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები მოცემულია დანართ 1-ში. გრუნტებისა და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული კვლევის მასალები მოცემულია 2.1-2.9 დანართებში. გრუნტებისა და გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზისა და სამშენებლო კონსტრუქციებისადმი მათი აგრესიულობის შეფასების მასალები მოცემულია დანართ 2.9-ში.

საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების გავრცელება სიღრმეში და მათი სისქეები ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია ცხრილ-4.1-ში.

ცხრილი-4.1 *საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების გავრცელება სიღრმეში და ფენების სისქეები*

სგე №	სგე დახასიათება და გეოლოგიურ-გენეტიკური ინდექსი	სგე გავრცელება სიღრმეში, მ სგე სისქე, მ					
		ჭაბ-1	ჭაბ-2	ჭაბ-3	ჭაბ-4	ჭაბ-5	ჭაბ-6
1	ხვინჭა-ღორღოვანი, ზოგან კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტი, ქვიშნარის შემავსებლით, საშუალო სიმკვრივის, მცირედ ტენიანი (ყრილისა და ნაყარი გრუნტები, ტექნოგენური-tQ_{IV})	0.0-2.0 2.0	0.0-1.0 1.0	0.0-0.8 0.8	0.0-5.2 5.2	0.0-0.4 0.4	
2	ხვინჭა, ღორღისა და მცირე ზომის ლოდების ჩანართებით, თიხნარის შემავსებლით, მკვრივი, მცირედ ტენიანი (კოლუვიურ-დელუვიური-cdQ_{IV})						0.0-1.3 1.3
2a	ქვიშაქვები და არგილიტები გამოფიტული. კლდოვანი ქანების ზედა გამოფიტული ზონა (შუა და ზედა ოლიგოცენი-P_3^{2+3})]	2.0-3.6 1.6		0.8-2.0 1.2		0.4-0.8 0.4	
3	ქვიშაქვები ღია ნაცრისფერი, საშუალოდან ტლანქშრეებრივამდე, სუსტად გამოფიტული (80-90%), მუქი ნაცრისფერი არგილიტების ფურცლოვანი და თხელი შუაშრეებით (10-20%) [შუა და ზედა ოლიგოცენი-P_3^{2+3}]	3.6-4.3 0.7	1.0-10.4 9.4 14.4-23.8 9.4	2.0-6.0 4.0 10.5-26.0 15.5	5.2-9.7 4.5 12.2-29.95 17.75	0.8-19.0 18.2 28.0-30.0 2.0	
4	არგილიტები მუქი ნაცრისფერი, ფურცლოვანი და თხელშრეებრივი, სუსტად გამოფიტული (55-65%), ღია ნაცრისფერი ქვიშაქვების საშუალო სისქის შუაშრეებით (35-45%) [შუა და ზედა ოლიგოცენი-P_3^{2+3}]	4.3-20.0 15.7	10.4-14.4 4.0 23.8-25.0 1.2	6.0-10.5 4.5 26.0-30.0 4.0	9.7-12.2 2.5 29.95-35.0 5.05	19.0-28.0 9.0	1.3-15.55 14.25
	გრუნტის წყლის დამყარებული დონე	6.3	5.3	8.95	13.0	8.6	2.82

4.1 ცხრილის გაგრძელება

სგე №	სგე დახასიათება და გეოლოგიურ-გენეტიკური ინდექსი	სგე გავრცელება სიღრმეში, მ / სგე სისქე, მ					
		ჭაბ-7	ჭაბ-8	ჭაბ-9	ჭაბ-10	ჭაბ-11	ჭაბ-12
1	ხვინჭა-ღორღოვანი, ზოგან კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტი, ქვიშნარის შემავსებლით, საშუალო სიმკვრივის, მცირედ ტენიანი (ყრილისა და ნაყარი გრუნტები, ტექნოგენური-tQ_{IV})						
2	ხვინჭა, ღორღისა და მცირე ზომის ლოდების ჩანართებით, თიხნარის შემავსებლით, მკვრივი, მცირედ ტენიანი (კოლუვიურ-დელუვიური-cdQ_{IV})	0.0-3.0 3.0	0.0-3.3 3.3	0.0-1.5 1.5	0.0-0.5 0.5	0.0-1.5 1.5	0.0-1.9 1.9
2a	ქვიშაქვები და არგილიტები გამოფიტული. კლდოვანი ქანების ზედა გამოფიტული ზონა (შუა და ზედა ოლიგოცენი-P_3^{2+3})]		3.3-4.0 0.7	1.5-2.7 1.2	0.5-2.5 0.5	1.5-1.8 0.3	1.9-6.0 4.1
3	ქვიშაქვები ღია ნაცრისფერი, საშუალოდან ტლანქშრეებრივამდე, სუსტად გამოფიტული (80-90%), მუქი ნაცრისფერი არგილიტების ფურცლოვანი და თხელი შუაშრეებით (10-20%) [შუა და ზედა ოლიგოცენი-P_3^{2+3}]		4.0-9.0 5.0 11.0-15.0 4.0			10.5-12.5 2.0	6.0-8.0 2.0
4	არგილიტები მუქი ნაცრისფერი, ფურცლოვანი და თხელშრეებრივი, სუსტად გამოფიტული (55-65%), ღია ნაცრისფერი ქვიშაქვების საშუალო სისქის შუაშრეებით (35-45%) [შუა და ზედა ოლიგოცენი-P_3^{2+3}]	3.0-15.0 12.0	9.0-11.0 2.0	2.7-15.0 12.3	2.5-15.0 12.5	1.8-10.5 8.7 12.5-15.0 2.5	8.0-15.0 7.0
	გრუნტის წყლის დამყარებული დონე	-	-	7.3	7.8	4.5	7.2

ქვემოთ მოცემულია არაკლდოვანი გრუნტებისა და კლდოვანი ქანების სახესხვაობების, ანუ საინჟინრო-გეოლოგოიური ელემენტების (**სგე**) დახასიათება, დაფუძნებული საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე.

4.1.1 არაკლდოვანი ქანები - გრუნტები

სგე-1 - ხვინჭა-ღორღოვანი, ზოგან კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტი, თიხნარის შემავსებლით. ელემენტი ტექნოგენური ყრილებისა ნაყარის არაერთგვაროვანი გრუნტია (tQ$_{IV}$), საშუალო სიმკვრივით და მცირე ტენიანობით. იგი ფიქსირება 7 ჭაბურღილში, სამშენებლო ტერიტორიის გარკვეულ უბნებზე, ფერდობის ზედა ნაწილში უმეტესად ნაყარის სახით გვხვდება, ხოლო ქვედა ნაწილში, ტერიტორიის საზღვრის ქვემოთ გზის ზოლში - ასფალტქვეშა ყრილის სახით. ფენის სისქე სხვადასხვა ადგილას იცვლება 0.4-დან 2.0 მ-მდე, მხოლოდ №4 ჭაბურღილში მისი სისქე შეადგენს 4.2 მ-ს.

ელემენტის შედგენილობა და თვისებები გამოკვლეულია ჭაბურღილიდან აღებული ნიმუშებით. ლაბორატორიული კვლევის შედეგები სრულად მოცემულია 2.1-2.2, ხოლო მახასიათებელთა მნიშვნელობები მოყვანილია 4.2 და 4.3 ცხრილებში.

ცხრილი-4.2 სგე-1-ის გრანულომეტრიული შედგენილობა

ნიმუშის № ჯამურ ცხრილში	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ					გრუნტის დასახელება
			ღორღი /კენჭი % 200.0-10.0	ხვინჭა / ხრეში % 10,0-2,0	ქვიშა % 2.0-0,1	მტვერი % 0,1 - 0,005	თიხა % < 0,005	
1	1	1.0-2.0	38.0	28.8	23.3	9.9		ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით
2	2	0.0-1.0	36.5	27.4	26.0	10.1		ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით
3	4	2.0-3.0	40.9	28.8	19.0	11.3		ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით
საშუალო			38.5	28.3	22.8	10.4		**ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით**

ცხრილი-4.3 სგე-1-ის ფიზიკური თვისებები

ნიმუშის № ჯამურ ცხრილში	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ტენიანობა, W		შემავსებლის პლასტიკურობა			დენადობის მაჩვენებელი, I_L
			ბუნებრივი	შემავსებლის	ზედა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p	
1	1	1.0-2.0	4.7	9.3	25.6	20.8	4.8	-2.42
2	2	0.0-1.0	4.7	9.3	25.6	20.8	4.8	-2.42
3	4	2.0-3.0	4.7	9.3	25.6	20.8	4.8	-2.42
საშუალო			4.7	9.3	25.6	20.8	4.8	-2.42

შენიშვნა: პლასტიკურობა და დენადობის მაჩვენებელი განსაზღვრულია ელემენტის შემავსებლისათვის.

ცხრილებში მოყვანილი სიდიდეების მიხედვით, **სგე-1**, ს.ნ. და წ. 25100-82 თანახმად, კლასიფიცირდება როგორც ხვინჭოვანი გრუნტი, ვინაიდან მასაში 10 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქციები შეადგენს 66.8%-ს. კენჭნარის შემავსებლად ელემენტში გვევლინება ქვიშნარი.

სგე-1-ის, როგორც მსხვილნატეხოვანი გრუნტის, მექანიკური თვისებები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკით. ანგარიშის შედეგები მოცემულია დანართ-2.2-ში, ხოლო ძვრისა და დეფორმაციის მახასიათებელთა სიდიდეები შეადგენს:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi = 35.8^0$;
- შეჭიდულობა c = 19.5კპა;
- დეფორმაციის მოდული E=38.83მპა.

სნ და წ. 2.02.01-83 დანართ-3-ის მიხედვით, **სგე**-2-ის, როგორც ხელოვნური ყრილის გრუნტის, საანგარიშო წინაღობა $R_0 = 150$კპა (1.5 კგძ/სმ^2).

სგე-2-ის სიმკვრივე ρ=1.85 გრ/სმ^3.

სგე-2 - ხვინჭა ღორღისა და მცირე ზომის ლოდების ჩანართებით, თიხნარის შემავსებლით, მკვრივი, მცირედ ტენიანი. ელემენტი კოლუვიურ-დელუვიური გენეზისისაა (cdQ_{IV}) და ფერდობის ზედა ნაწილიდან დროთა განმავლობაში ქვედა ნაწილში გადალექილ გრუნტს წარმოადგენს. იგი ფიქსირება 6 ჭაბურღილში, ფენის სისქე სხვადასხვა ჭაბურღილში 0.5-დან 3.3 მ-მდე იცვლება.

ელემენტის შედგენილობა და თვისებები გამოკვლეულია ჭაბურღილებიდან აღებული ნიმუშებით. ლაბორატორიული კვლევის შედეგები სრულად მოცემულია დანართ-2.1-2.2-ში, ხოლო მახასიათებელთა მნიშვნელობები მოყვანილია 4.4 და 4.5 ცხრილებში.

ცხრილი-4.4 სგე-2-ის გრანულომეტრიული შედგენილობა

ნიმუშის № ჯამურ ცხრილში	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ						გრუნტის დასახელება
			ლოდი % >200.0	ღორღი % 200.0-10.0	ხვინჭა % 10,0-2,0	ქვიშა % 2.0-0,1	მტვერი % 0,1 - 0,005	თიხა % < 0,005	
4	6	0.0-0.5	11.0	25.4	26.3	25.1	12.2		ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით
5	6	0.5-1.2	15.0	23.5	29.9	20.2	11.4		ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით
საშუალო			**13.0**	**24.5**	**28.1**	**22.7**	**11.8**		**ხვინჭა, ქვიშნარის შემავსებლით**

ცხრილი-4.5 სგე-2-ის ფიზიკური თვისებები

ნიმუშის № ჯამურ ცხრილში	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ტენიანობა, W		შემავსებლის პლასტიკურობა			დენადობის მაჩვენებელი, I_L
			ბუნებრივი	შემავსებლის	ზედა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p	
4	6	0.0-0.5	4.4	7.2	34.4	23.6	10.8	-1.52
5	6	0.5-1.2	5.1	8.9	33.5	18.6	14.9	-0.65
საშუალო			4.8	8.1	34	21.1	12.9	-1.08

შენიშვნა: *პლასტიკურობა და დენადობის მაჩვენებელი განსაზღვრულია ელემენტის შემავსებლისათვის.*

ცხრილებში მოყვანილი სიდიდეების მიხედვით, **სგე**-2, ს.ნ. და წ. 25100-82 თანახმად, კლასიფიცირდება როგორც ხვინჭოვანი გრუნტი, ვინაიდან მასაში 10 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქციები შეადგენს 65.6%-ს. კენჭნარის შემავსებლად ელემენტში გვევლინება თიხნარი.

სგე-2-ის, როგორც მსხვილნატეხოვანი გრუნტის, მექანიკური თვისებები გაანგარიშებულია შესაბამისი მეთოდიკით. ანგარიშის შედეგები მოცემულია დანართ-2.1-2.2-ში, ხოლო ძვრისა და დეფორმაციის მახასიათებელთა სიდიდეები შეადგენს:

- შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi = 35.1^0$;
- შეჭიდულობა c = 26.7კპა;
- დეფორმაციის მოდული E=35.0მპა;

სნ და წ. 2.02.01-83 დანართ-3-ის მიხედვით, **სგე**-2-ის საანგარიშო წინაღობა $R_0 = 200$კპა (2.0 კგძ/სმ²).

სგე-2-ის სიმკვრივე ρ=1.95 გრ/სმ³.

4.1.2 კლდოვანი ქანები

როგორც იყო ნათქვამი გეოლოგიური აგებულების აღწერაში, გამოკვლეული ტერიტორია მთლიანად აგებულია შუა და ზედა ოლიგოცენის (P_3^{2+3}) ნალექების წყებით, რომელიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია ქვიშაქვებითა და არგილიტებით. სამშენებლო ტერიტორიის ნაწილზე, მასივის ზედა ზონაში, ქანები გამოფიტულია და ძლიერ ნაპრალოვანი, ამიტომ იგი ცალკე საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტადაა გამოყოფილი. ელემენტი ქვეშმდებარე სუსტად გამოფიტულ ქანებზე თხელ ფენადაა განლაგებული და გამოვლენილია 8 ჭაბურღილში. გამოფიტული ფენის სისქე 0.3-დან 1.6 მ-მდე ცვალებადობს და მხოლოდ ერთ, - №12 ჭაბურღილში მისი სისქე შეადგენს 4.1 მ-ს. ქვემოთ მოცემულია მისი საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება.

სგე-2a – ქვიშაქვები და არგილიტები გამოფიტული. კლდოვანი ქანების ზედა გამოფიტული ზონა (შუა და ზედა ოლიგოცენი-$P_3^{2+3)}$]. ელემენტის თვისებები გამოკვლეულია ჭაბურღილიდან აღებული ნიმუშებით. ნიმუშებზე

შესრულდა მათი სიმტკიცის კვლევა, წერტილოვანი დატვირთვის მეთოდით. შედეგები მოცემულია 4.6 ცხრილში.

ცხრილი-4.6 სგშ-2a-ს სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებელთა სიდიდეები

ჭაბურღილი №	სიღრმე, მ	სიმტკიცე კუმშვაზე $\sigma_{\text{სსაშ}}$, მპა	ბუნებრივი სიმკვრივე, ρ გ/სმ³	ქანის დასახელება
1	3.1-3.2	3.68	2.26	არგილიტი
2	4.3-4.4	4.66	2.30	არგილიტი
10	1.5-1.6	3.26	2.21	არგილიტი
საშუალო მნიშვნელობა		**3.87**	**2.26**	**არგილიტი**
1	3.2-3.3	15.03	2.41	ქვიშაქვა
10	2.0-2.1	15.65	2.40	ქვიშაქვა
12	5.5-6.65	16.43	2.45	ქვიშაქვა
საშუალო მნიშვნელობა		**15,70**	**2.42**	**ქვიშაქვა**

ცხრილში მოყვანილი სიმტკიცის მახასიათებლის საშუალო სიდიდის მიხედვით ($\sigma_{\text{სსაშ}}$=9.79მპა), ს.ნ. და წ. 25100-82 თანახმად **სგშ-2a** კლასიფიცირდება როგორც **მცირე სიმტკიცის კლდოვანი ქანი**.

ელემენტის ჯამური რეიტინგი (RMR) შეფასდა ჭაბურღილებიდან ამოღებული კერნის მდგომარეობის მიხედვით. რეიტინგის მიღებული საშუალო სიდიდიდან გამომდინარე (33), მასივის ის ნაწილი, რომელსაც მოიცავს **სგშ-2a**, კლასიფიცირდება, როგორც **IV-ცუდი**.

4.1.2.1 კლდოვანი ქანების ლითოლოგიურ სახესხვაობათა ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

კლდოვანი ქანები სიღრმეში სუსტად გამოფიტულია. მასივში გამოიყოფა ცალკეული დასტები, რომლებიც ქანების აღნიშნულ სახესხვაობებს სხვადასხვა პროცენტული რაოდენობით შეიცავს. ამ მხრივ მასივში გამოიყოფა დასტები, რომლებშიც ქვიშაქვების სიჭარბეა, - ქვიშაქვები შეადგენს 80-90%-ს, ხოლო არგილიტები 10-20%-ს, ხოლო დასტებში არგილიტების სიჭარბით, არგილიტები შეადგენს 55-65%-ს, ხოლო ქვიშაქვები 35-45%-ს. ეს უკანასკნელი გვხვდება მთელი ფერდობის აგებულებაში მეტ-ნაკლები რაოდენობით, თუმცა უმეტესად ფერდობის ქვედა ნაწილშია გავრცელებული. ცვალებადია აგრეთვე შრეების სისქეები, ფერდობის ზედა ნაწილში, ქვიშაქვების შრეები უმეტესად სქელ და უხეშშრეებრივია (20-100 სმ), ხოლო ქვემოთ, სადაც მათი წილი დასტებში კლებულობს, თხელ და საშუალოშრეებრივია (2-20 სმ), იშვიათი სქელი შუაშრეებით. ჭაბურღილებიდან ამოღებული კერნის მიხედვით (იხ. ფოტოდოკუმენტაცია), სიღრმის გარკვეულ ინტერვალებში მასივში გამოვლენილია ფურცლოვანი (0.2-2სმ) და თხელშრეებრივი (2-10სმ) სისქის ქვიშაქვებისა და არგილიტების გარკვეული სისქის დასტებიც, რომლებიც თავისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით ახლოსაა არგილიტებთან და ამდენად განიხილება არგილიტებთან კომპლექსში.

კლდოვანი მასივის თვისებების დახასიათებისათვის ქვემოთ ჯერ მოცემულია მისი ამგები ორი ლითოლოგიური სახესხვაობის – ქვიშაქვებისა და არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დახასიათება, ხოლო უფრო ქვემოთ მოყვანილია მასივში გამოყოფილი ცალკეული დასტების, ანუ საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (**სგე-3** და **სგე-4**) თვისებების დახასიათება, მათში აღნიშნული ლითოლოგიური სახესხვაობების პროცენტული შემცველობის გათვალისწინებით.

კლდოვანი მასივის შემადგენელი ლითოლოგიური სახესხვაობის – ქვიშაქვებისა და არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები გამოკვლეულია სხვადასხვა ჭაბურღილიდან და სიღრმის სხვადასხვა ინტერვალიდან აღებული ნიმუშებით. ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია დანართებში (იხ. დანართები 2.3÷2.8).

ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები განისაზღვრა ლაბორატორიული კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავებით (იხ. დანართი-2.8). მიღებული შედეგები მცემულია 4.7 და 4.8 ცხრილებში.

ცხრილი-4.7 ქვიშაქვების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები

№№ რიგზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი		განზომილება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
				საწყისი	საბოლოო		α=0.85	α=0.95	α=0.99
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში								
1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	8	8	2.48	2.46	2.45	2.44
		ფერდოზე					2.50	2.51	2.53
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, **σ**		მპა	8	8	42.871	39.99	38.05	35.352
3	დრეკადობის მოდული, E		კნ/მმ²	10	10	20.448	19.257	18.47	17.395
4	პუასონის კოეფიციენტი, μ		-	10	10	0.225	0.217	0.21	0.205
	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში								
5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	8	8	2.51	2.49	2.48	2.46
		ფერდოზე					2.53	2.54	2.56
6	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, **σ**		მპა	**8**	8	31.230	25.23	21.05	15.155

ცხრილი-4.8 არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები

№№ რიგზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი		განზომილება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
				საწყისი	საბოლოო		α=0.85	α=0.95	α=0.99
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში								
1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ^3	13	13	2.44	2.43	2.42	2.40
		ფერდოზე					2.46	2.47	2.48
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	13	13	15.342	13.094	11.637	9.764
	დრეკადობის მოდული, E		კნ/მმ^2	13	13	7.102	6.131	5.501	4.691
	პუასონის კოეფიციენტი, μ		-	13	13	0.292	0.284	0.278	0.272
	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში								
5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ^3	8	8	2.45	2.43	2.42	2.41
		ფერდოზე					2.47	2.48	2.50
6	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	8	7	3.79	2.590	1.732	0.462

ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცხრილებში მოცემული სიდიდეებიდან გამომდინარე:

- **ქვიშაქვები ბუნებრივი ტენიანობის პირობებში** კლასიფიცირდება, როგორც **საშუალო სიმტკიცის** კლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ =42.87 მპა (50≥σ>15მპა);
- **ქვიშაქვები წყალგაჯერებულ მდგომარეობაში** კლასიფიცირდება, როგორც **საშუალო სიმტკიცის** კლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ =31.23 მპა (50≥σ>15მპა);
- ჩატარებული 8 ცდიდან 3 შემთხვევაში ქვიშაქვები წყალში არ არის დარბილებადი, დარბილების კოეფიციენტით 0.77÷0.94 (ანუ $K_{caf}<0.75$), ხოლო 5 შემთხვევაში დარბილებადია, დარბილების კოეფიციენტით 0.69-0.51 (ანუ $K_{caf}<0.75$). დარბილების კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობის მიხედვით (K_{caf} =0.66), ქვიშაქვები წარმოადგენს წყალში დარბილებად კლდოვან ქანს.

- <u>არგილიტები</u> **ბუნებრივი ტენიანობის პირობებში** კლასიფიცირდება, როგორც <u>**საშუალო სიმტკიცის**</u> კლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ =15.34 მპა (50≥σ>15მპა);

- <u>არგილიტები</u> **წყალგაჯერებულ მდგომარეობაში** კლასიფიცირდება, როგორც <u>**დადაბლებული სიმტკიცის**</u> ნახევრადკლდოვანი ქანი, ვინაიდან სიმტკიციცის მახასიათებლის ნორმატიული მნიშვნელობა σ =3.79მპა (5>σ≥3 მპა);

- ჩატარებული 8 ცდიდან 1 შემთხვევაში არგილიტები წყალში არ არის დარბილებადი, დარბილების კოეფიციენტით 0.75 (ანუ K_{caf}≥0.75), ხოლო 7 შემთხვევაში დარბილებადია, დარბილების კოეფიციენტით 0.07-0.61 (ანუ K_{caf} <0.75). დარბილების კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობის მიხედვით (K_{caf} =0.40), ქვიშაქვები წარმოადგენს წყალში დარბილებად ნახევრადკლდოვან ქანს.

4.1.2.2 კლდოვან ქანებში გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (სგე-3 და სგე-4) ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კლდოვანი მასივი ქვიშაქვებისა და არგილიტების სხვადასხვა სისქის შრეებისა და დასტების მორიგეობითაა აგებული. ქანების ეს ორი ლითოლოგიური სახესხვაობა სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში სხვადასხვა პროცენტული თანაფარდობითაა წარმოდგენილი, რის მიხედვითაც მასივში გამოიყოფა ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელთა შორის ერთ-ერთ მათგანში ჭარბობს ქვიშაქვები, ხოლო მეორეში უმეტეს ნაწილს არგილიტები შეადგენს. ელემენტების აღწერა და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები, მოყვანილია ქვემოთ.

<u>**სგე-3**</u> – ქვიშაქვები ღია ნაცრისფერი, საშუალოდან ტლანქშრეებრივამდე (80-90%), მუქი ნაცრისფერი, არგილიტების ფურცლოვანი და თხელი შუაშრეებით (10-20%). ელემენტი შუა და ზედა ოლიგოცენის (P_3^{2+3}) კლდოვანი ქანებია. ელემენტი გამოვლენილია 8 საკვლევ ჭაბურღილში, ზოგ მათგანში-კი სიღრმის ორ სხვადასხვა ინტერვალში, აღნიშნული პროცენტული შედგენილობის დასტების სახით (იხ. სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, ნახაზი №GC-2233-2). დასტების სისქე 2-დან 18 მ-მდეა.

სგე-3-ის სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებელთა მნიშვნელობები მიღებულია ქვიშაქვებისა და არგილიტების მახასიათებელთა მნიშვნელობების გასაშუალებით, დასტაში მათი პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით (ქვიშაქვები საშუალოდ 85%, არგილიტები საშუალოდ 15%). ელემენტის მახასიათებელთა ამგვარად მიღებული ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები მოცემულია ცხრილ-4.9-ში.

ცხრილი-4.9 **სგე-3-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეები**

№№ რიგ-ზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი		განზომილება	ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
					α=0.85	α=0.95	α=0.99
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში						
1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.474	2.455	2.445	2.434
		ფერდოზე			2.49	2.504	2.522
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	38.74	35.96	34.09	31.51
3	დრეკადობის მოდული, E		კნ/მმ²	18.446	17.288	16.525	15.489
4	პუასონის კოეფიციენტი, μ		-	0.23505	0.227	0.2202	0.215
	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში						
5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.50	2.481	2.471	2.452
		ფერდოზე			2.521	2.531	2.551
6	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	27.114	21.83	18.15	12.951

ცხრილში მოცემული მახასიათებლის ნორმატიული სიდიდის მიხედვით (σ=38.74მპა), სგე-3 კლასიფიცირდება, როგორც **საშუალო სიმტკიცის** კლდოვანი ქანი (50≥ σ>15 მპა).

სგე-4 – არგილიტები მუქი ნაცრისფერი, ფურცლოვანი და თხელშრეებრივი (55-65%), ღია ნაცრისფერი, საშუალოდ ნაპრალოვანი ქვიშაქვების საშუალო სისქის შუაშრეებით (35-45%). ელემენტი შუა და ზედა ოლიგოცენის (P_3^{2+3}) კლდოვანი ქანებია. იგი გამოვლენილია 11 საკვლევ ჭაბურღილში, სიღრმის სხვადასხვა ინტერვალში, ზოგ მათგანში-კი სიღრმის 2 სხვადასხვა ინტერვალში, აღნიშნული პროცენტული შედგენილობის დასტების სახით (იხ. სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები, ნახაზი №GC-2203-2). დასტების სისქე 1.2-დან 14.25 მ-მდეა.

სგე-4-ის სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებელთა მნიშვნელობები მიღებულია ქვიშაქვებისა და არგილიტების მახასიათებელთა მნიშვნელობების გასაშუალებით, დასტაში მათი პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით (არგილიტები 60%, ქვიშაქვები 40%). ელემენტის მახასიათებელთა ამგვარად მიღებული ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები მოცემულია ცხრილ-4.10-ში.

ცხრილი-4.10 ***სგე-4-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეები***

№№ რიგზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი		განზომილება	ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
					α=0.85	α=0.95	α=0.99
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში						
1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.456	2.442	2.432	2.416
		ფერდოზე			2.476	2.486	2.50
2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, ნ		მპა	26.354	23.852	22.202	19.999
3	დრეკადობის მოდული, E		კნ/მმ²	12.440	11.381	10.689	9.773
4	პუასონის კოეფიციენტი, μ		-	0.265	0.257	0.251	0.245
	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში						
5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.474	2.454	2.444	2.43
		ფერდოზე			2.494	2.504	2.524
6	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, ნ		მპა	14.766	11.65	9.459	6.339

ცხრილში მოცემული მახასიათებლის ნორმატიული სიდიდის მიხედვით (ნ=26.35მპა), **სგე**-4 კლასიფიცირედბა, როგორც **საშუალო სიმტკიცის** კლდოვანი ქანი (50≥ ნ>15 მპა).

4.2 კლდოვანი მასივის ხარისხი

კლდოვანი მასივის ხარისხისა და რეიტინგის დადგენის მიზნით, საკვლევ უბანზე შესრულებულია ქანების ნაპრალიანობის გამოკვლევა, არსებულ ბუნებრივ ნაჩენებში. კვლევების მონაცემები მოცემულია დანართის სახით (იხ. დანართი-3). მასივში დადგენილია ნაპრალების კარგად გამოკვეთილი 3 სისტემა. № 3 ნაჩენში გამოვლენილია მეოთხე სისტემაც. სისტემებს შორის შორის პირველია ქანების შრეთაშორისი ანუ შრეებრიობის ნაპრალები, რომელთა გავლენა, ზოგადად, ფერდობების მდგრადობაზე, ყველაზე მნიშვნელოვანია, გამომდინარე მათი დიდი გამწეობიდან (სიგრძიდან). შრეთაშორის ნაპრალებს ჩვენს შემთხვევაში თუმცა ექნება გარკვეული გავლენა, როგორც მასივში არსებულ შესუსტების ზედაპირებს, მაგრამ მათ არ ექნება გადამწყვეტი გავლენა სამშენებლო ქვაბულების ხელოვნური ფერდოების მდგრადობაზე, რამდენადაც ისინი ფერდობის დახრის საწინააღმდეგოდაა მიმართული და ამ ნაპრალების გასწვრივ ქანის მასები ვერ დაცურდება (იმ პირობებში, როდესაც ფერდობის დაქანების აზიმუტი შეადგენს 170 გრადუსს, ხოლო შრეთა დაქანების აზიმუტი საშუალოდ 21 გრადუსს).

ფერდოების მდგრადობაზე ასევე გარკვეული გავლენა ექნება ნაპრალთა მეორე (აზ. 258^0, დახრის კუთხე 69^0) და მეოთხე (აზ. 280^0, დახრის კუთხე 85^0) სისტემებს, როგორც მასივში არსებულ შესუსტების ზედაპირებს. აღსანიშნავია ის რომ ამ სისტემების ნაპრალების გამწეობა (სიგრძე) არ არის დიდი (1.4-1.7მ-მდე).

სამშენებლო ქვაბულების ფერდოების მდგრადობაზე რამდენადმე მეტი უარყოფითი გავლენა ექნება ნაპრალთა მესამე სისტემას. უარყოფით ფაქტორს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ ნაპრალების დაქანების აზიმუტი (177-197^0) უახლოვდება ფერდობის დაქანების აზიმუტს (165-170^0), რის გამოც მათ ზედაპირზე შესაძლებელია ქანების გარკვეული მასების ჩამოცურება-ჩამოვარდნა. თუმცა იმის გამო, რომ ნაპრალების სიგრძე არც ამ შემთხვევაშია დიდი (შეადგენს 0.5-2.5მ-ს), ფერდობიდან დიდი მასის კლდოვანი ქანების მოწყვეტა არც ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი. ასეთი მოვლენა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთივე ან ფერდობის სუბპარალელური რაიმე სხვა (მათ შორის ტექტონიკური) ფარული, დიდი გამწეობის ნაპრალი გამოვლინდება სიღრმეში, ფერდობის ჩამოჭრის დროს (თუმცა ასეთი სახის ნაპრალებები არც აგეგმვის და არც ბურღვის მონაცემებით არ არის გამოვლენილი).

ქვაბულების ხელოვნური ფერდოების მდგარობის შეფასებისათვის, როგორც ერთ-ერთი საანგარიშო პარამეტრისა, შესრულებულია ძვრის მახასიათებლების (შინაგანი ხახუნის კუთხე და შეჭიდულობა) განსაზღვრის ცდები, ერთის მხრივ შრეებრიობის ნაპრალების ზედაპირების, ხოლო მეორეს მხრივ სხვა გენეზისის ნაპრალების ზედაპირების გასწვრივ (იხ. დანართი-2.7. ცდები შესრულებულია ნაპრალების დასველებული ზედაპირებისათვის, რაც მასივის გაწყლიანების შემთხვევაში, ნაპრალებში წყლის შეღწევას გულისხმობს. ცდების შედეგები მოცემულია 4.11-4.12ცხრილებში.

ცხრილი-4.11 ძვრის მახასიათებელთა სიდიდეები, ნაპრალების დასველებული ზედაპირების გასწვრივ, I სისტემა.

რიგითი №	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების სიღრმის ინტერვალი, მ	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, c მპა
1	2	8.1-8.3	29.92	0.14
2	3	9.0-9.25	16.9	0.08
3	4	30.5-30.6	13.69	0.37
4	5	18.15-18.35	13.86	0.12
5	6	11.6-11.75	18.31	0.19
6	6	14.1-14.3	9.6	0.15
7	11	11.4-11.5	14.36	0.13
8	10	3.7-4.0	11.05	0.04
9	12	3.5-3.6	16.73	0.08

ცხრილში მოცემული სიდიდეების სტატისტკიური დამუშავებით I სისტემისათვის მიღებულია ძვრის მახასითებელთა შემდეგი ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები:

ძვრის მაჩვენელები	განზომილება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
		საწყისი	საბოლოო		α=0.85	α=0.95	α=0.99
შეჭიდულობა, C	მპა	9	8	0.116	0.097	0.084	0.066
შინაგანი ხახუნის კუთხე, φ	გრად.	9	8	14.313	13.134	12.314	11.157

ცხრილი-4.12 ძვრის მახასიათებელთა სიდიდეები, ნაპრალების დასველებული ზედაპირების გასწვრივ. II, III და IV სისტემები.

რიგითი №	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების სიღრმის ინტერვალი, მ	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	შეჭიდულობა, c მპა
1	2	11.3-11.5	32.18	0.21
2	3	4.4-4.5	20.97	0.26
3	4	20.5-20.75	37.94	0.49
4	5	6.3-6.5	28.42	0.32
5	10	8.1-8.25	28.08	0.28
6	11	9.3-9.5	24.28	0.26

ცხრილში მოცემული სიდიდეების სტატისტკიური დამუშავებით II III და IV სისტემებისათვის მიღებულია ძვრის მახასითებელთა შემდეგი ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები:

ძვრის მაჩვენელები	განზომილება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა, A^n	საანგარიშო მნიშვნელობა		
		საწყისი	საბოლოო		α=0.85	α=0.95	α=0.99
შეჭიდულობა, C	მპა	6	5	0.266	0.245	0.228	0.199
შინაგანი ხახუნის კუთხე, φ	გრად.	6	6	28.645	25.826	23.760	20.478

შესრულებული საველე და ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე, განსაზღვრულია კლდოვანი მასივის საკლასიფიკაციო პარამეტრები. მახასიათებელთა სიდიდეები და შესაბამისი შეფასება, ფერდობზე

გამოკვლეული ნაჭენების მიხედვით (ნაჭენები №1-4), ქვემოთ მოცემულია ცხრილური სახით. ცხრილ-4.13-ში მოცემულია კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგის სიდიდეები და მათი შეფასება.

ცხრილი-4.13 კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR), ნაჭენების მიხედვით

ნაჭენის №	სგე №	კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR)	
		სიდიდე	შეფასება
1	4	42	III-საშუალო
2	3	57	III-საშუალო
3	3	57	III-საშუალო
4	3	60	III-საშუალო

გარდა ამისა, კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი შეფასდა აგრეთვე ჭაბურღილებიდან ამოღებული დაუზიანებელი სრული კერნის მონაცემების მიხედვით. შეფასების შედეგები ასახულია ცხრილ-4.14-ში.

ცხრილი-4.14 კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR), კერნის მიხედვით

ჭაბ. №	სგე №	კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR)	
		სიდიდე	შეფასება
1	3	44	III-საშუალო
2		53	III-საშუალო
3		54	III-საშუალო
4		50	III-საშუალო
5		51	III-საშუალო
11		36	IV-ცუდი
12		41	III-საშუალო
1	4	47	III-საშუალო
2		51	III-საშუალო
3		46	III-საშუალო
4		47	III-საშუალო
5		51	III-საშუალო
6		42	III-საშუალო
7		42	III-საშუალო
9		49	III-საშუალო
10		56	III-საშუალო
11		42	III-საშუალო
12		53	III-საშუალო

4.13 და 4.14 ცხრილებში მოყვანილი მონაცემების შესაბამისად, კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგის მნიშვნელობები 42-დან-60-მდეა, რის

მიხედვითაც მასივი კლასიფიცირდება, როგორც **III-საშუალო**. მხოლოდ ლოკალურ უბანზე, №11 ჭაბურღილიდან ამოღებული კერნის მიხედვით რეიტინგი არის 36, რის მიხედვითაც მასივი აქ კლასიფიცირდება, როგორც **IV-ცუდი.**

4.3 ᲰᲘᲓᲠᲝᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების ზოგადი შეფასების მიხედვით, კლდოვანი მასივი სპორადულად წყალშემცავია, მასში არსებული ნაპრალური წყლებით. მდ. ვერეს ხეობაში გრუნტის წყლების რეჟიმის თავისებურების განმაპირობებელია ამ მდინარის ფსკერული ნაწილი, როგორც ადგილობრივი ეროზიის ბაზისი. ხეობის ფერდობებზე და მიმდებარე ზონაში მოხვერდილი ატმოსფერული ნალექები ვერეს ხეობაში განიტვირთება, როგორც ფრონტალური გამოსავლების, ასევე შეკრებილი ნაკადებისა და მცირედებიტიანი წყაროების სახით. ტერიტორიის იმ ნაწილებში, სადაც მეოთხეული ნალექები თხელ ფენადაა გადაკრული ქედების ამგებ კლდოვან ქანებზე, ჰიდროგეოლოგიური პირობების ფორმირებაში პრაქტიკულად არავითარ როლს არ ასრულებენ. რაც შეეხება ზოგადად კლდოვანი ქანების მასივს, იგი შეიცავს ნაპრალურ წყლებს. წყლის ჰორიზონტის ძირითად მკვებავად მასში გვევლინება ატმოსფერული ნალექები, თუმცა ქალაქის საკომუნიკაციო ქსელიდან განაჟონ წყლებს მაინც აქვს თავისი გავლენა გრუნტის წყლების ფორმირების პროცესზე, ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებში.

გამოკვლეული სამშენებლო უბნის საინჟინრო-ჰიდროგეოლოგიური პირობების ფორმირებაში მთავარ როლს თამაშობს ადგილობრივი რელიეფის თავისებურებები. უბანი და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს მდ. ვერეს ხეობის ციცაბო ფერდობის ზედა ნაწილს. მოსული ატმოსფერული ნალექებისა და გრუნტებში მოხვედრილი სხვა წყლების ინფილტრირება, ზედაპირული ზონიდან, ხდება ღრმად ჩაჭრილი ადგილობრივი ეროზიის ბაზისის, ანუ მდ. ვერეს კალაპოტის მიმართულებით, თუმცა გარკვეული სიღრმის შემდეგ კლდოვან მასივში გრუნტის (ნაპრალურ) წყლებს გარკვეული დონე უკავია, რაც ჭაბურღილებში მათი გამოვლენით და შემდგომში დონის დამყარებით დასტურდება. ჭაბურღილებში წყლის გამოვლენის დონეები მოცემულია ჭაბურღილების სვეტებში, აგრეთვე ქვემოთ, ცხრილური სახით.

გრუნტის წყლის დონეები ჭაბურღილებში

ჭაბ. №	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
წყლის დონე, მ.	6.3	5.3	8.95	13.0	8.6	2.82	-	-	7.3	7.8	4.5	7.2

საველე კვლევითი სამუშაოები ჩატარებულია წლის ნაკლებნალექიან პერიოდში (ივლისი), ამიტომ აღნიშნული დონეები არ უნდა ჩაითვალოს მაქსიმალურად და შემოდგომა-გაზაფხულზე რამდენადმე აიწევს, განსაკუთრებით-კი ხანგრძლივი წვიმების დროს.

საკვლევ ჭაბურღილებში დაფიქსირებული წყლის დონეების მიხედვით, შენობების ქვაბულების ფერდოებზე, ზოგან მოსალიდნელია წყალჟონვები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სადრენაჟე ღონისძიებათა პროექტში. ჩატარებული ქიმიური ანალიზების მიხედვით, გრუნტის წყლები ავლენენ სუსტ

სულფატურ აგრესიულობას პორტლანდცემენტზე (ГОСТ10178-76) დამზადებული, წყალშეღწევადობის მიხედვით ყველა მარკის ბეტონის მიმართ. გამოვლენილია აგრეთვე სუსტი ქლორიდული აგრესიულობა ბეტონის არმატურისადმი ისეთ ზონებში, სადაც ის შეიძლება პერიოდულად სველდებოდეს (ასეთად უნდა ჩაითვალოს მაგ. არმატურა საძირკვლის ბეტონის ფილაში, აგრეთვე ქვაბულების ფერდოების ანკერულ გამაგრებაში;

4.4 გეოდინამიკური პირობები

სამშენებლო მოედანი მისი დღევანდელი გეოდინამიკური მდგომარეობით ძირითადად სტაბილურია, ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ბალახეულითა და ბუჩქნარით. მასზე შეინიშნება მხოლოდ მცირე მასშტაბის დენუდაციური პროცესები, - საკმაოდ ციცაბო ფერდობზე ნაყარი გრუნტისა და ზედაპირზე გაშიშვლებული კლდოვანი ქანების ხვინჭა-ღორღის ზომის ნატეხების დენუდაციის მცირედ გამოხატული პროცესები, აგრეთვე ძლიერი წვიმების დროს წამოქმნილი ზედაპირული წყლის ნაკადების ეროზიული გავლენა, გრუნტების ზედაპირული გადარეცხვისა და მცირე ჩახრამვების სახით. სხვა რაიმე ისეთი სახისა და მასშტაბის გეოდინამიკური პროცესი ან მოვლენა, რაც ხელს შეუშლიდა აქ შენობების მშენებლობას ან მათ ექსპლუატაციას მომავალში, ტერიტორიაზე და მის გარშემო არ შეინიშნება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობა, რაც აქ შენობების ქვაბულების დამუშავებისა და ფერდობების ჩამოჭრის შემდეგ შეიქმნება. საპროექტო ტერიტორიის ზედაპირის დიდი დახრილობის გამო, ცალმხრივად ჩამოჭრილი ქვაბულის ხელოვნურ ფერდოს საკმაოდ დიდი სიმაღლე ექნება. ქანების შრეთა დაქანება ფერდობის ექსპოზიციასთან მიმართებაში, ხელსაყრელია, - ისინი ფერდობის საწინააღმდეგოდაა დახრილი, თუმცა დადგენილია ნაპრალთა სხვა სისტემების არსებობაც, რომელთა ექსპოზიცია ნაკლებად ხელსაყრელი ან არახელსაყრელია ფერდოების მდგრადობის თვალსაზრისით. კლდოვანი ქანების ნაპრალიანობა და მასთან დაკავშირებული მასივის რეიტინგი დადგენილია ქანების რამდენიმე ნაჩენის გეომექნიკური აღწერისა და ჭაბურღილებიდან ამოღებული კერნის შეფასების მონაცემების საფუძველზე, რაც დეტალურად ზემოთ, 4.2 ქვეპუქტშია განხილული. მოსალოდნელ გეოდინამიკურ მოვლენებთან დაკავშირებით აქ შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი: საპროექტო ტერიტორიის დიდი დახრილობის გამო, შენობების გარშემო უნდა გატარდეს ატმოსფერული ნალექებისა და სხვა წარმოშობის ზედაპირული წყლების სარეგულიაციო ღონისძიებები, შენობის პერიმეტრზე ფერდობის დახრამვითი პროცესების განვითარების გამოსარიცხად. შენობების გარშემო და ზოგადად ტერიტორიაზე უკონტროლოდ მოძრავი ზედაპირული წყლები ხელს შეუწყობს ქვაბულების ხელოვნურ ციცაბო ზედაპირებზე გაშიშვლებული ქანების ნაპრალებში არსებული შემავსებლის გამორეცხვას და ამით მათ დეზინტეგრაციას ცალკეულ ბლოკებად/ნატეხებად. ასეთ დეზინტეგრაციას უფრო მეტად ექნება ადგილი, თუ ნაპრალებში ჩაღწეული წყალი გაიყინება ზამთრის სიცივეების დროს (რაც, ზოგადად, უმთავრესი მიზეზია ფერდობებზე მიმდინარე ნაპრალოვანი კლდოვანი მასივის ზედაპირული ზონის დაშლა-ჩამონგრევის პროცესისა დროთა განმავლობაში).

5 დასკვნები და რეკომენდაციები

1. სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, ბუნებრივი გარემოს ფაქტორთა (გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, გეოდინამიკური) სირთულიდან გამომდინარე, არის III კატეგორიის (რთული). სირთულის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორია გეომორფოლოგიური ფაქტორი;

2. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევებით, სამშენებლო უბანზე გამოვლენილია სულ 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (**სგე**), მათ შორის 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი არაკლდოვანი კლასის მეოთხეულ გრუნტებში (**სგე**-1, **სგე**-2), ერთი ელემენტი მასივის ზედა გამოფიტულ ზონაში (**სგე**-2a), ხოლო ორი ელემენტი კლდოვანი ქანების სუსტად გამოფიტულ ზონაში (**სგე**-3 და **სგე**-4)· საპროექტო გაანგარიშებებში გამოყენებული უნდა იქნას გრუნტებისა და კლდოვანი ქანების საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ის ნორმატიული და საანგარიშო სიდიდეები, რომლებიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილებშია მოცემული.

ცხრილი-5.1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების (სგე) ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა სიდიდეები

სგე №	სიმკვრივე ρ, გრ/სმ³	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა c, მპა	დეფორმაციის მოდული, მპა	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა, R_0 მპა	გრუნტის ჯგუფი დამუშავების სიძნელის მიხედვით და კატეგორია სნ და წ IV-5-82	12 მ-მდე სიმაღლის ფერდის მაქსიმალური დასაშვები ქანობი
1	1.85	35.8	0.02	38.8	-	0.18	6ა, II	1:1.5
2	1.95	35.1	0.027	35.0	-	0.2	6ბ, III	1:1.5
2a	2.34	-	-	-	9.78	-	12, V	1:1
3	2.50	-	-	-	27.11	-	28ბ/29ბ, VI–85% 3ა/3ა, V–15%	*
4	2.47	-	-	-	14.76	-	28ბ/29ბ, VI–40% 3ა/3ა, V–60%	*

**** განისაზღვრება გაანგარიშებით.***

ცხრილი-5.2 სგე-3-სა და სგე-4-ის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა <u>ნორმატიული და საანგარიშო</u> სიდიდეები

№№ რიგ-ზე	მექანიკური თვისების მახასიათებელი		განზომილება	ნორმატიული მნიშვნელობა	საანგარიშო მნიშვნელობა		
					α=0.85	α=0.95	α=0.99
1	**სგე-3**						
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში						
1.1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.474	2.455	2.445	2.434
		ფერდოზე			2.49	2.504	2.522
1.2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	38.74	35.96	34.09	31.51
1.3	დრეკადობის მოდული, E		კნ/მმ²	18.446	17.288	16.525	15.489
1.44	პუასონის კოეფიციენტი, μ		-	0.23505	0.227	0.2202	0.215
	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში						
1.5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.50	2.481	2.471	2.452
		ფერდოზე			2.521	2.531	2.551
1.6	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	27.114	21.83	18.15	12.951
2	**სგე-4**						
	ბუნებრივი ტენიანობის პირობებში						
2.1	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.456	2.442	2.432	2.416
		ფერდოზე			2.476	2.486	2.50
2.2	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	26.354	23.852	22.202	19.999
2.3	დრეკადობის მოდული, E		კნ/მმ²	12.440	11.381	10.689	9.773
2.4	პუასონის კოეფიციენტი, μ		-	0.265	0.257	0.251	0.245
	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში						
2.5	სიმკვრივე, ρ	საფუძველში	გრ/სმ³	2.474	2.454	2.444	2.43
		ფერდოზე			2.494	2.504	2.524
2.6	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, σ		მპა	14.766	11.65	9.459	6.339

ცხრილი-5.3 ძვრის მახასიათებელთა სიდიდეები, კლდოვან ქანებში, ნაპრალების დასველებული ზედაპირების გასწვრივ (I, II და III სისტემები)

ძვრის მახასიათებლები	განზომი-ლება	განსაზღვრის რაოდენობა		ნორმატიული მნიშვნელობა,	საანგარიშო მნიშვნელობა		
		საწყისი	საბოლოო		α=0.85	α=0.95	α=0.99
	I სისტემა (შრეებრიობის ნაპრალები)						
შეჭიდულობა, C	მპა	9	8	0.116	0.097	0.084	0.066
შინაგანი ხახუნის კუთხე, φ	გრად.	9	8	14.313	13.134	12.314	11.157
	II და III სისტემები						
შეჭიდულობა, C	მპა	6	5	0.266	0.245	0.228	0.199
შინაგანი ხახუნის კუთხე, φ	გრად.	6	6	28.645	25.826	23.760	20.478

ცხრილი-5.4 კლდოვანი მასივის ჯამური რეიტინგი (RMR) ნაჩენების მიხედვით

სგე №	**RMR** სიდიდე	საშუალო სიდიდე	მასივის ჯამური რეიტინგი
3	ნაჩენების მონაცემებით – 58	52.5	III-საშუალო
	ჭაბურღილების მონაცემებით - 47		
4	ნაჩენების მონაცემებით – 42	44.6	III-საშუალო
	ჭაბურღილების მონაცემებით – 47.3		

3. ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით კლდოვანი ქანების მასივი ნაპრალური წყლების შემცველია. საკვლევ ჭაბურღილებში დაფიქსირებული წყლის დონეების მიხედვით, შენობების ქვაბულების ფერდოებზე, მოსალიდნელია წყალჟონვები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას სადრენაჟე ღონისძიებათა პროექტში. ამავე პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნას ტერიტორიიდან სხვადასხვა წარმომავლობის ზედაპირული ჩამონადენი წყლების მოცილების ღონისძიებები. ჩატარებული ქიმიური ანალიზების მიხედვით, გრუნტის წყლები ავლენენ სუსტ სულფატურ აგრესიულობას პორტლანდცემენტზე (ГОСТ10178-76) დამზადებული, წყალშეღწევადობის მიხედვით ყველა მარკის ბეტონის მიმართ. გამოვლენილია აგრეთვე სუსტი ქლორიდული აგრესიულობა ბეტონის არმატურისადმი ისეთ ზონებში, სადაც ის შეიძლება პერიოდულად სველდებოდეს (ასეთად უნდა ჩაითვალოს მაგ. არმატურა საძირკვლის ბეტონის ფილაში, აგრეთვე ქვაბულების ფერდოების ანკერულ გამაგრებაში;

4. სამშენებლო მოედანი მისი დღევანდელი გეოდინამიკური მდგომარეობით ძირითადად სტაბილურია, ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ბალახეულითა და ბუჩქნარით. მასზე შეინიშნება მხოლოდ მცირე მასშტაბის დენუდაციური პროცესები, - საკმაოდ ციცაბო ფერდობზე ნაყარი გრუნტისა და ზედაპირზე გაშიშვლებული კლდოვანი ქანების ხვინჭა-ღორღის ზომის ნატეხების დენუდაციის მცირედ გამოხატული პროცესები, აგრეთვე ძლიერი წვიმების დროს წამოქმნილი ზედაპირული წყლის ნაკადების ეროზიული გავლენა, გრუნტების ზედაპირული გადარეცხვისა და მცირე ჩახრამვების სახით. სავარაუდო გეოდინამიკური მოვლენები, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონეს მშენებლობის დაწყების შემდეგ, მოცემულია ზემოთ, 4.4 ქვეთავში;

5. საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმის („სეისმომედეგი მშენებლობა“, პნ 01.01-09) მიხედვით, საპროექტო სამშენებლო უბნის სეისმურობა, MSK64 სკალის შესაბამისად, შეადგენს 8 ბალს. შენობების საფუძვლის გრუნტი იქნება კლდოვანი გრუნტები, თუმცა ვინაიდან ისინი ძლიერ ნაპრალოვანია და ნაწილობრივ გამოფიტული, მათი კატეგორია, მოქმედი ნორმატივის - პნ 01.01-09 („სეისმომედეგი მშენებლობა“) მიხედვით, არის II. შესაბამისად, სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა შეადგენს 8 ბალს;

6. და ბოლოს ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: 30 გრადუსამდე დახრილობის ფერდობზე შენობების მშენებლობის განხორციელების თვალსაზრისით დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ფერდობი, მთლიანობაში კლდოვანი ქანებითაა აგებული, ქანების შრეები დახრილია ფერდობის საწინააღმდეგოდ და რომ კლდოვან ქანებზე არსებული არაკლდოვანი (ტექნოგენური და დელუვიურ-კოლუვიური) გრუნტების სისქე არ არის დიდი.

